ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 267
პარასკევი, 10 დეკემბერი 1893

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1893

# ივერია

№ 267
პარასკევი, 10 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“

გამოვა 1894 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

### წლიური საზოგადო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე 11 §-ისა, დანიშნულია ქრისტეშობისთვის 19, დილის 10 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1 ენკენისთვითგან 1892 წ. 1 ენკენისთვემდე 1893 წლისა, ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{93}/_{94}$ წლისა ივის, გ, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წარსულის $18^{91}/^{92}$ წლის ანგარიშის შესახებ, დ, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების შესახებ, და ე, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(4—4)

### ტფილისი, 10 დეკემბერს

ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ თავად-აზნაურობას, როგორც რუსეთისას, ისეც საქართველოსას, დიდი გასაჭირი დაადგა; უზრუნველს ზრუნვა დაატყდა თავს, შრომის შეუჩვეველმა ახალმა ვითარებამ გარჯა და ნიჭი მოსთხოვა არსებობისათვის ბრძოლის ასპარეზზედ ბურთის გასატანად და ცხოვრების სუფრაზედ საკუთარის ადგილის დასაჭერად. თავად-აზნაურობამ, სრულად არ-მომლოდინემ, თუ საქმეთა ვითარება ასეთს საკითხს დაუყენებდა წინ და მის აუცილებელს გადაწყვეტას მოსთხოვდა, პირველში ეს სულთამხუთავი იმითი მოიცილა თავიდგან, რომ მამა-პაპეულს, ძველის-ძველადვე ხელ-შეუხებელს უძრავს საგვარეულო მამულს, დაგირავება დაუწყო და ამითი სულის მობრუნება შეიძლო.

მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი წყარო დიდხანს ვერ იდენდა და მარტო მცირეს ხნით თავიდგან მოცილებული საკითხი დღეს თუ ხვალ ისევ წინ დაუჩოქებდა. ასეც მოხდა. დაგირავებულ მამულში აღებული ფული, რა კი, მამულსკი არა, მხოლოდ თავად-აზნაურობის ახლად გაჩენილ მოთხოვნილებეათა ჰხმარდებოდა და მოუვლელმა მამულმა-კი ვერ შესძლო პატრონის გამოკვებაც და ბანკის პასუხის-გებაც, მამულები დაიყიდა და ეს ნიადაგიც ნელ-ნელა გამოეცალა ხელიდგან თავად-აზნაურობას.

ასეთს გარემოებაში ჩავარდნილს თავად-აზნაურობას დიდი განსაცდელი დაადგა. ვინც მხნედ იყო, იმან კიდევ გაიტანა სვე, ვინც არა-და, თქვენი მტერი ჩავარდეს იმ მდგომარეობაში, როგორშიაც ისინი შთაცვივდნენ.

მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ წოდების ძნელს მდგომარეობას, თანაუგრძნო და რამდენიმე საშუალება იხმარა, რომ ფეხზედ წამოეყენებინა. მეტადრე ასეთი მიმართულება ამ ბოლოს დროს დაეტყო მთავრობას, როდესაც მართლა რომ რამდენიმე თვალ-საჩინო უპირატესობა მიანიჭა თავად-აზნაურობას. ამ აზრითვე ამას წინად უმაღლესად დამტკიცებული განსაკუთრებული კომისია დაწესდა, ნ. ს. აბაზას თავმჯდომარეობით, რომელსაც მიენდო კიდევ რაიმე შეღავათის გამოძებნა, რომ თავად-აზნაურობას მამა-პაპეული მამულები არ ეცლებოდეს ხელიდგან და უწინდელი ერთიანი მამულები ასე საშინლად არა წვრილმანდებოდეს.

ამ აზრით შემდგარმა კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი საქმე და ამ რამდენისამე ხნის წინად სახელმწიფო საბჭოში წარადგინა განსახილველად.

ამ პროექტით თავად-აზნაურთ უფლება ეძლევათ, როგორც მამა-პაპეული, ისე საკუთრად შეძენილი, მამული დროებით ხელ-შეუხებლად გამოაცხადონ. ასეთი მამული უნდა იყოს ერთი-ორად არა ნაკლები და ერთი ათად არა მეტი იმ ზომაზედ, რომელიც დადებულია სამაზრო საერო კრებაზედ კენჭის უფლების მოსაპოვებლად. დროებით ხელ-შეუხებელს მამულს მხოლოდ ორის თაობის განმავლობაში აქვს ძალა მის დამფუძნებელს შემდეგ, ესე იგი შვილი-შვილამდე. ასეთის მამულის არც გაყიდვა, არც დაგირავება და არც განაწილება არ შეიძლება, თუნდა დამფუძნებელის ან იმისის შვილის მემკვიდრენი ამაზედ თანახმანი იყვნენ. თუ ასეთ მამულის პატრონს ვალი აღმოუჩნდა და სასამართლომ მისი გარდახდევინება მოინდომა, თუნდა სხვა მამულიც არა ჰქონდეს-რა, ეს მამული მაინც ხელ-შეუხებლად უნდა იყოს. შეიძლება მხოლოდ ასეთი მამულის შემოსავლიდგან იქმნას ვალი გარდახდილი ნაწილ-ნაწილად. ხოლო თუ მამულის პატრონი გარდაიცვალა და ხელ-შეუხებელი მამული მემკვიდრეებს დარჩათ, მაშინ გარდაცვალებულის მამულის პატრონის კერძო მოვალეს ნება არა აქვს მამულის შემოსავლით ისარგებლოს.

აი ეს არის შინაარსი ახალის კანონ-პროექტისა მოკლედ. უმთავრესი აზრი ამ კანონისა ის არის, რომ თავად-აზნაურთა მამულები მათვე შერჩეთ ხელში და არ გამოეცალოთ, არ დაწვრილმანდეს მრავალ მემკვიდრეთა შორის განაწილებით. აქამდე დიდს მამულს, ათი მემკვიდრე ათ ნაწილად რომ ჰყოფდა და ამით მამულს ფასი და ღირსება ეკარგებოდა. ამიერიდგან-კი მემკვიდრეთ შეუძლიანთ მხოლოდ მამულის შემოსავლით ისარგებლონ და ეს შემოსავალი გაინაწილონ, ხოლო შემოსავლის მომცემი მამული-კი საგვარეულოდ ხელ-შეუხებელი უნდა იყოს, მართალია, დროებით, მაგრამ სულ ცოტა, სამოც-ოთხმოცის წლის განმავლობაში მაინც, თუნდა შვილიშვილმა მამულის ხელ-შეუხებლად დამფუძნებელისამ არც-კი ისურვოს განგრძობა ამ წესისა. ამ გვარად, ახალის კანონ-პროექტით, რომელისამე თავად-აზნაურის მოვალეს, თუ მამული დროებით ხელ-შეუხებლად დაფუძნებულია, საშუალება ეცდება ხელიდგან თავის ვალის გასანაღდებლად მამულს წაატანოს ხელი და, როგორც ხშირად მომხდარა, უბრალო-ბრალოიანად ან გაჰყიდოს იგი, ან თავად დაირჩინოს.

ეს საშუალება ერთი იმ მრავალთაგანია, რომელიც შემოღებულია თავად-აზნაურობის საშეღავათოდ და ფეხზედ დასაყენებლად. ეჭვი არ არის, თუ მართლა ასეთი წესი იქმნა შემოღებული, მამულები ფეხს მაგრა მოიკიდებს თავად-აზნაურობაში, გაუნაწილებელი დარჩება და უყავ-ყურანის გასატანი და გასაგლეჯი არ გახდება. მაგრამ სრული ზურგის გამაგრება-კი თავად-აზნაურობისა არც ამ საშუალებას შეუძლიან, ვიდრე თავად-აზნაურობა თითონ არ გამოიფხიზლებს, არ ჩაუკვირდება თავის მდგომარეობას და არ ეცდება საკუთარის ძალ-ღონით გაიკვლიოს ცხოვრებაში გზა, უწინდელივე ბრწყინვალე ადგილი დაიჭიროს, არა მარტო სახელით, არამედ ცოდნით, ნიჭითა და გამჭრიახობით. მანამდე-კი ასეთი პალიატიური საშუალებანი თუმცა დაეხმარება, მაგრამ სავსებით ვერას უშველის და სასურველს სიკეთეს ვერ მოუტანს.

დროა შეგნებული იყოს ის აზრი, რომ ყოველის ადამიანის სიკეთე და კეთილდღეობა დამოკიდებულია იმის საკუთარს მხნეობასა და გამჭრიახობაზედ. ადამიანი იმითი-კი არ არის ბუნების საყვარელი არსება, რომ ბუნება ვალდებული იყოს მას ყველაფერი მზა-მზარეულად მიართვას, არამედ იმითი, რომ ძალა და ღონე აქვს ბუნებისაგან მინიჭებული ყოველივე თითონ მოიპოვოს თავისათვის. მხნე იყავ და განძლიერდიო, ამბობს ჩვენი საღმრთო

## ფელეტონი

### რა დააშავა ბ-ნ კალ. ჩიკვაიძემ

წერილი მეორე

ბ-ნი კალ. ჩიკვაიძე ამორჩეულ იქმნა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველად 1890 წელს, მაისში. მას აქეთ განვლო სამ-წელიწად-ნახევარმა. ეს დრო სრულებით საკმაო იყო, რომ ბ-ნ ჩიკვაიძეს, თუ სურვილი ჰქონდა და ძალაც შესწევდა, თავი გამოეჩინა ბანკის საქმეების კარგად წარმართვით და საზოგადოებასაც გაეცნო ის, როგორც ბანკის მმართველი, დაენახა, აკეთებს რასმე ბანკში თუ არა, წინ წავიდა მის ხელში ბანკის საქმე, თუ უკან. პირველ წლის დამლევს, 1891 წელს მაისში, ბ-ნმა ჩიკვაიძემ თვით აღიარა საზოგადო კრების წინაშე, წელს სრულებით არაფერი გამიკეთებიაო, და თავს მით იმართლებდა, კომიტეტმა დავა ამიტეხაო, როგორც «მეძებრები კურდღელს», ისე მდევნიდენო. მაგრამ ის პირველი წელიწადიც ხომ გავიდა, ბ-ნ ჩიკვაიძის მოწინააღმდეგე წევრნი ზედამხედველი კომიტეტისა ბ.ბ.-ნნი სვიმონ წერეთელი, ლ. ასათიანი, ანტონ ლორთქიფანიძე და პ. ნაკაშიძე გამოვიდნენ კომიტეტიდგან. ამორჩეულ იქმნენ ახალი წევრნი, რომელთაც თვით ბ-ნი ჩიკვაიძე ეხვეწებოდა, დათანხმებულიყვნენ და მიეღოთ თავის-თავზე ეს მოვალეობა, რადგან იმ ჟამად ყველამ უარი განაცხადა და ძლიერ გაჭირდა ზედამხედველ კომიტეტის შედგენა. ახალ კომიტეტთან ბ-ნ ჩიკვაიძეს არავითარი უთანხმოება არ ჰქონდა, წინააღმდეგ ამისა, სამი წევრი ბ.ბ.-ნნი ჯორჯიკია, ლოლუა და ქიქოძე ემორჩილებოდნენ მას განუკითხავად. დანარჩენი ორი წევრი გამგეობისა ბ-ნი ივ. ჯაიანი და თ. ჸ. ერისთავეც ხომ ბ-ნ ჩიკვაიძეს წინააღმდეგობას ვერაფერში გაუწევდნენ. ყოველივე მიწყნარდა, ყოველივე უთანხმოება ბანკის მმართველთა შორის შესწყდა და ბ-ნ ჩიკვაიძეს ჯერ კიდევ წინ ორი სრული წელიწადი ჰქონდა მომავალ არჩევნებამდე, რომ ბანკის საქმეს ჩაჰკვირვებოდა და რაიმე გაეკეთებინა.

მაგრამ გააკეთა-კი რამე? არა, ბ-ნმა ჩიკვაიძემ ეს დანარჩენი დროც ისე გაატარა, როგორც პირველი წელიწადი. მთელ ამ სამის წლისა და ნახევრის განმავლობაში მას არამც თუ არაფერი გაუკეთებია, ბევრითაც დააბრკოლა ბანკის საქმე, არამც თუ სარგებლობა არაფერი მოუტანია, როგორც ბანკის მმართველს, არამედ ბევრი ვნებაც მოუტანა, დიდი ზარალი მისცა, როგორც ბანკს, ისე საზოგადოებასაც. მას დღემდე ვერ შეუგნია ის საქმე და მისი მნიშვნელობა, რომელიც საზოგადოებამ ასე გულ-აჩქარებით მას ჩააბარა. მისის აზრით, სავექილო საქმეებს უპირატესობა აქვს ბანკის საქმეების წინაშე. და აქამდე გული ვერ დაუდვია ბანკის საქმეებისათვის.

ბ-ნი ჩიკვაიძე ძალიან ნაკლებად დაიარება ბანკში. კვირაში სამჯერ-ოთხჯერ თუ შეირბენს ერთისა ან ნახევარ საათის ვადით, ისიც მხოლოდ მისთვის, რომ რომელისამე თავის მომხრის საქმე დააჩქარებინოს ან გამგეობას გაახედვინოს ბანკის წესდების რომელსამე მუხლის დარღვევა ან რაიმე საეჭვო მედიატორთა გადაწყვეტილებით სესხის გაცემა. შეირბენს ბ-ნი ჩიკვაიძე ბანკში ერთ-ნახევარი საათის ვადით, ამას წაუჩურჩულებს, იმას გაეხუმრება, იქვე რამე თხოვნას დაუწერს ვისმე თავის მარწმუნებელთაგანს, ხელს მოაწერს თუ რამე ქაღალდი მიუტანეს, თან ჩქარობს, ჩქარობს, რადგან სასამართლოში უგვიანდება; „მერე, მერე, გენაცვალეო“, იძახის, თუ რამე რთული საქმე არის გადასაწყვეტი, და პორტფელით იღლიას-ქვეშ მირბის ბანკიდგან და თან მისდევს ჩოჩქოლით მისი ამალა. ხშირად, როდესაც რამე ისეთი საქმეა გადასაწყვეტი, რომლისთვისაც საჭიროა გამგეობის სამივე წევრის დასწრება, უნდა ეძიონ ბ-ნი ჩიკვაიძე სხვა-და-სხვა სასამართლოებში, რომ საქმე მოახსენონ. ხანდახან-კი ორ-სამ კვირაობით მიდის ქუთაისიდგან ბათუმში ან სხვაგან სადმე. როდესაც-კი საჭიროა საქმის ჩაკვირვება, შესწავლა და ამ შესწავლის ნაყოფის ვრცლად დაწერა, დასაბუთება, ბ-ნი ჩიკვაიძე მაშინ სრულებით უძლურია. მას არ შეუძლია გული დაუდვას ბანკის რამე რთულს საქმეს ან მოფიქრებული მოხსენება დაამზადოს გამგეობისა ან საზოგადო კრებისთვის.

რადგან ახალციხეში ბევრი მამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი. ესეც არ იყოს, განა ეჭვი-და აქვს ვისმე, რომ

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და კლდენია!..

დიოგენი

# ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, ქართულ დრამატიულმა დასმა ქ-ნ ბ. ავალიშვილის საიუბილეო საბენეფისოდ წარმოადგინა პოტეხინის ოთხ-მოქმედებიანი დრამა «გლახაკნი სულითა», ა. ნიკიტინის მიერ ნათარგმნი. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. პიესისა და წარმოდგენის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ. ამ ჟამად-კი ავსწერთ მხოლოდ დღესასწაულს.

მთელი თეატრი ხვეულის ყვავილებით იყო მორთული. მეორე მოქმედების შემდეგ ფარდა აიხადა და სცენაზედ გამოჩნდნენ ყველა არტისტნი ყვავილის გვირგვინებით ხელში. მებენეფისეს ყველამ თავ-თავის მხრივ მიულოცა და დაფნის გვირგვინი მიართვა. ასე მიულოცეს თვით არტისტებმა ამხანაგებმა, რუსულის თეატრისამ, სომხურისამ და აგრეთვე ქუთაისის ქართულის თეატრის წარმომადგენელმა, ბ-ნმა ბოლქვაძემ, კნ. ბ. ავალიშვილის ძველმა მეგობრებმა, რომელთაც ამ ოც-და-ხუთის წლის წინად უთამაშნიათ იმასთან ერთად სცენაზედ და სხ. კნ. ნინო ორბელიანისამ საკუთარი ლექსი წაიკითხა, ამ შემთხვევისთვის დაწერილი.

ამავე დროს მებენეფისეს მიართვეს დაფნის გვირგვინი ქართულმა დრამატიულმა კომიტეტმა, ორი თაიგული, ვერცხლის სერვიზი, ალბომი, ვერცხლის ჰიქა, ვერცხლის ლამბაქი, კალათა ყვავილებით სავსე, ტუალეტის ნესესერი და სხ.

*** ჩვენ მოღვაწესა და პედაგოგს ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს განუზრახავს დაბეჭდოს რუსულს ენაზედ წერილები სხვა და სხვა საპედაგოგო საგნის შესახებ, ამ სათაურით: „Педагогическiе вопросы". „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის„ სტამბაში უკვე იბეჭდება პირველი წერილი ამ სერიისა, რომელშიაც პატივცემული ავტორი ამტკიცებს, რომ უფრო რაციონალურია რუსულ წერაში სწორი ხელი შემოიღოთ, როგორც ქართველები სწერენ, ალმაცერის, მრუდის ხელის მაგიერათო. წერაში სწორის ხელის შემოღების უაღრესობაზე პატივცემულს ავტორს ჯერ კიდევ ამ თორმეტის წლის წინად გაზეთ „დროებაში" ჰქონდა დაბეჭდილი თავისი აზრი.

*** უკანასკნელ ხანებში ტფილისში ძალიან არეულ-დარეული დარები იდგა, —წვიმიანი, ღრუბლიანი და თბილი დღეები ერთმანერთში იყო არეული. 7 ამ თვეს საღამოზე თოვლიც წამოვიდა. შიგ ქალაქში ჯერ თოვლმა ფეხი ვერ მოიკიდა. გარშემო მთები-კი, სოლოლაკისა, მახათასი და მთაწმინდისა ოდნავ დაჰფარა. 8-ს ღამით პირველი ყინვა დაიჭირა. ჰაერიც საზამთროდ აცივდა. კუკიის ხიდზე მტკვრისაგან მოტანილი მთის ცივი ქარი ძალზე ჰსუსხავს ადამიანს.

*** პოლკოვნიკს თ. ივანე თარხანმოურავს დაუწერია თავისი მოგონებანი. აწერილი აქვს როგორ წაიყვანეს, ჯერ ისევ პატარა, რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო სასწავლებელში; როგორ იმოქმედა პატარა ქართველზე სამშობლოდგან ცხრა მთას იქით გადაკარგულზე, რუსეთის ნახვამ; დასურათებული აქვს წეს-წყობილება სასწავლებლისა. ყველაზე მეტად საინტერესოა პატივცემულ თავადის მოგონებაში აღწერა სევასტოპოლის ომისა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია. ამ ომის შესახებ ბევრი თქმულა, ბევრი წიგნები დაწერილა. მაგრამ ჩვენის თავადის ნაწერებს შეუძლია შუქი მოჰფინოს იმისთანა მხარეს საქმისას, რომელიც ადვილად გამოეპარებოდა სხვა მწერალს. თავადი ივანე უკვე მოხუცებულია. კაცი სმენად გადაიქცევა, როცა ის თავის წარსულის ამბებს გატაცებით მოჰყვება. განზრახვა აქვს თავისი ისტორიული მოგონებანი ახლად დაარსებულ ჟურნალ „მოამბის" რედაქციას გადასცეს დასაბეჭდად. რედაქციისთვის მართლადა ხელ-საყრელი მასალა იქნება ეს მოგონებანი.

*** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ჩვენი სასიქადულო მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე), აგერ რამდენიმე წელიწადია, სულ უიმედო ავადმყოფია. გუშინს აქეთ კი იმის ისეც ცუდს მდგომარეობას უცებ დაეტყო ცხადი უარესობა: ძლივს ჰყლაპავს, ძლივს-ღა უცემს მაჯა და სრულებით დაჰკარგა ცნობა.

*** რაჭა: ცუდი დღე ადგება ჩვენს მხარეს. სარჩოს სიმცირის გამო მთელის სოფლობით იყრებიან მკვიდრნი და სხვაგან მიდიან, —ეგებ სიმშილით არ გავწყდეთო. უფრო ტფილისს ეტანებიან. დიდს გაჭირვებას ითმენენ ლუკმა-პურის საძებნელად წამოსულნი გზაში. სიცივე, სიმშილი, ერთის სიტყვით, ყოველივე გაჭირვება, რაც ხელ-მოკლე კაცის ხვედრია— ყოველივე ამ საწყლებს ატყდებათ მეხივით თავსა და უიმისოდაც დაჩაგრული გული უარესად ეჩაგრებათ. ამაზე უკიდურესი მდგომარეობა, როგორშიაც ესენი არიან, წარმოუდგენელია. მათი გაჭირვებული ყოფა მით უფრო ძნელი ასატანია, რომ რაჭველი კაცი სიკვდილს ირჩევს და კაცს ხელს არ გაუწვდის, — მშიან, გამიკითხეო, რაჭველი ამას ჩვეული არ არის.

*** გორი: დიდს გაჭირებაშია ღარიბი ხალხი აქ სხვა-და-სხვა ურიგობისა და უწესოებისაგან. აი, მაგალითად, დაიწყო ზამთარი და შეშა მამასისხლად იყიდება. საშოვარიც არ არის. რათა? რათა და მათა, რომ ვაჭრებს აღკრძალული აქვთ 12 საათამდე ბაზარში შემოსული სოფლის ნუზელ-სანოვაგე იყიდონ, მაგრამ ამ აღკრძალვას ყურადღებას არავინ აქცევს. მიდიან ვაჭრები და დილითვე ჰყიდულობენ ყოველსავე, სხვათა შორის შეშასაც, რის გამო ურემ შეშას 5 მანათად ვერ იშოვით.

*** იქიდამვე: ჩვენს საპატიმროშიაც გაიმართა სხვა-და-სხვა სახელოსნოები. უფრო კარგია სადურგლო. დღეში 10—12 მან. შემოდის პატიმართა ნაკეთების გაყიდვით. ოთხი მეათედი ოსტატს მიაქვს, ექვსი მეათედი ორად იყოფა, ნახევარი პატიმართა კომიტეტისათვის არის და ნახევარი სახელმწიფო ხაზინისა. დიდი სამადლობელი საქმეა, რადგან ღარიბ პატიმარს შეძლება ეძლევა პატიოსანი შრომით ერთი ლუკმა პური სჭამოს.

*** სოფ. სურები (გურია): 3 დეკემბერს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ათიოდ წლის ქალი გაეგზავნათ მშობლებს წყლის მოსატანად სუფსაზე. ბავშვი წყლის ამოსაღებად ქვაზე შემდგარიყო, უცფად ფეხი დასცურებოდა და წყალში ჩავარდნილიყო. ბავშვი რომ დიდ-ხნობამდე არ გამოჩნდა, მშობლები ჩავიდნენ და თქვენს მტერს — ქალი მოსდებოდა ბოგირს და სიცოცხლეს გამოსალმებოდა. მშობლებს, მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა; მიცვალებული ტირილ-ვაებით მეორე დღეს დაასაფლავეს.

# დამაკვირდი

ვინც მეტის-მეტად გულ-ჩვილია, ის ჩქარა შეიქმნება წრეს-გადასული მიუნდობელი.

ებნერ-ეშენბახი

**

ცრუ მოწმენი იმასაც სძულს, ვინც იქირავებს.

თალმუდი

**

ჭეშმარიტად დიდებული კაცი ყოველთვის გულ-წრფელია და საქციელი მარტივი და ფერ-უმარილ შეუურელი აქვს.

კლინგერი

## ნაწყვეტები.

მიველ და ვნახე მიჯნური,
ეძინა, ძილშიც მელოდა,
კაშკაშა მთვარის ნათელი
პირ-ბადზე გადაჰფენოდა,
ლაწვებზედ მარგალიტები
ეყარა—თვალთგან სდენოდა;
მოხიბლა გული-გონება,
ცის ელვასავით შვენოდა!

დ. მაჩხანელი

## შემოწირულობა

გიგზავნით ჩვიდმეტ მანეთს, ქ. ნახიჩევანში შეკრებილს, შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ, ხოლო თქვენს პატივცემულს გაზეთში დაბეჭდოთ შემომწირველთა სახელი და გვარი.

აი შემომწირველთა სია: კ. მახვილაძემ —3 მან., ლ. ჟორჟოლაძემ—6 მან., ივ. სანაკოევმა—2 მან., თ. პ. წულუკიძემ—3 მან., ა. მამულაიშვილმა—3 მან., სულ 17 მანეთი*).

არსენ მამულაიშვილი

ქ. ნახიჩევანი

*) ამ ფულისა იყო 414 მ. 42 კ. შესდგა სულ 431 მ. 42 კ.

# კორესპონდენცია

**სოფ. ბაკურციხე** (სიღნაღის მაზრა), 4 დეკემბერს. საშინელი გვალვიანი შემოდგომა იყო აქედ. თითქმის წვიმა არ მოსულა ორ-სამ თვეში. ცხადია, რომ ასეთი ხმელი შემოდგომა და უავდრობა ხეირს არ დააყრიდა მოსავალს. აკი იმიტომ იმედი გადავიწყვიტეთ თითქმის სამერმისო მოსავლისა. კარგი დარები უხაროდა უსაქმო და მოქეიფე-მოსეირნე ხალხს; მხვნელ-მთესველნი, მიწად-მომქმედნი და მამულის პატრონნი-კი დიდს საფიქრებელში იყვნენ.

ვჩივით და ვწუხვართ, რომ ასე უკულმართი დრო შეგვექნაო: ზამთარი აღარ ზამთრობს, ზაფხული ზაფხულს აღარა ჰგავს და შემოდგომა შემოდგომასაო. ხალხიც გამოიცვალა და ბუნებაც სხვაფრივ ირჯება: უფრო ძუნწობას და უფრო მეტს სილატაკეს ავრცელებსო. ცხენს ვერა დააკლეს-რა და უნაგირს მისწვდნენო, სწორედ ჩვენზე ითქმის. ბუნებამ არა დააშავა-რა. თვითონ ჩვენ არ ვარგივართ. არც ცოდნა, არც მხნეობა, არც გამჭრიახობა და ხასიათის სიმტკიცე არა გვაქვს. სულ მარტივი საზოგადო საქმე ვერ მოგვიწყვია, მხარი-მხარს ვერ მიგვიცია და ვერ გვიწარმოვებია.

ავიღოთ თუნდ აქაური ტყეები. აუარებელი სიმდიდრეა ეს ტყეები თ. ვაჩნაძეთათვის, რომელნიც 60 კომლამდე იქმნებიან და სამს სოფელში სცხოვრობენ: ბაკურციხეს, კარდანეხსა და კოლაგში. ამოდენა გვარეულობას საქმე ისე ვერ მოუწყვია, რომ ტყეები შეჰკრან, წესი და რიგი ჩამოაგდონ და ისე მოიხმარონ ეს ძვირფასი, გამოულეველი საუნჯე. ამას წინად დასდეს პირობა, შემოიღეს წესი და რიგი. მაგრამ იმათვე დაარღვიეს, ვინც მცველნი უნდა ყოფილიყვნენ. ეხლა ტყეს ისა ხმარობს, ვინც უფრო მძლავრია, ხელ-ღონიერია. მიდის ასე უწეს-ურიგოდ ეს სიმდიდრე და იღუპება ჩალის ფასად ერთმანეთის ჯიბრითა და შურ-მტერობით.

აი როგორ ფასობს აქ ხე-ტყე და შეშა-ფიჩხი: ურემი ფიჩხი 50 კაპ., შეშა—1 მან., საჟენი შეშა 5 მან., ძირეულად ერთი დიდი ძირი მუხა, კაკალი, თელა, რცხილა და სხ.—2 მან. ზოგიერთს ძირს თითო ასეთი ნავი გამოდის, რომ 30 კაცი თამამად დაეტევა ყურძნის დასაწურად;

---

ლი ჰქონდა დარჩენილი ჩვენს ბანკს, ამისთვის 1891 წელს ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტა გაეგზავნა ახალციხეში გამგეობის ერთი წევრთაგანი ბანკის დარჩენილ მამულების ვითარების შესასწავლად იმ აზრით, რომ როდესაც ის დაბრუნდებოდა და საფუძვლიან მოხსენებას წარმოადგენდა იმ მამულების შესახებ, ბანკი შესდგომოდა იმ მამულების გასყიდვას. ბ-ნმა ჩიკვაიძემ აიღო გზის ფული, წაიყვანა ტეხნიკი და გასწია ახალციხისკენ, დარჩა იქ ორი კვირა და შემდეგ დაბრუნდა. მაგრამ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ამაოდ ელოდნენ მისგან მოხსენებას. ეს მოხსენება ჩიკვაიძეს დღემდე არ წარმოუდგენია, რადგან იმის შესადგენად საჭირო იყო მასალა და შრომა. როდესაც წელს სამინისტრომ მოსთხოვა ჩვენს ბანკს ცნობები შესახებ იმ მამულებისა, რომელიც ბანკს დარჩა, ბანკის გამგეობა იძულებული შეიქმნა გაეგზავნა ახალციხეში მეორე წევრი გამგეობისა, რომელმაც კიდეც იშოვნა ზოგის მამულის მყიდველი. ამ გვარადვე არავითარი მოხსენება არ წარუდგენია ბ-ნ ჩიკვაიძეს, როდესაც ამ ზაფხულს დაბრუნდა პეტერბურგიდან, სადაც გაგზავნილი იყო ვითომ ბანკის საქმეების მოსაწყობად. ასე გულ-აცრუებით, ასე უყურადღებოდ ეპყრობა ის ბანკის ყველა საქმეებს.

მხოლოდ როდესაც რაიმე არჩევანის დრო დადგება ბანკში, როდესაც ბ-ნ ჩიკვაიძისათვის საჭიროა, რომ ვინმე „გაათეთროს", ან ვინმე «გააშავოს», მაშინ დაფაცურდება, მაშინ იღებს დიდს მონაწილეობას ამ ერთად-ერთს ბანკის საქმეში. მაგალითად, მან მართლა დიდი მეცადინეობა გამოიჩინა, რომ როგორმე გაეშავებია დამფასებელ კომისიის წევრი და თავ-მჯდომარე თ. სამსონ წულუკიძე, რომელსაც მთელი თავადაზნაურობა საკმაოდ იცნობს, როგორც პატიოსანს და მოუსყიდველს კაცს. აგრეთვე ბ-ნი ჩიკვაიძე დიდად ეცადა რომ აერჩია დამფასებელ კომისიის წევრად ბ-ნი ნესტორ გუგუშვილი. ამ არჩევანის შემდეგ ორმა წევრმა ზედამხედველ კომიტეტისამ ბ-ნმა მიხეილ დარახველიძემ და თ. დავით ნიჟარაძემ, რომელთაც საზოგადოდ საკეთილოდ არ მიაჩნიათ ბ-ნ ჩიკვაიძისაგან ბანკის საქმეების წარმართვა, მაგრამ მარტო, კომიტეტის სხვა წევრთა დაუხმარებლად, ვერაფერი გაეწყოთ, უარი განაცხადეს, ზედამხედველ კომიტეტში მონაწილეობას ველარ მივიღებთო და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ბანკის საქმეები მეტად აიწეწა, ისინი, საზოგადოების თხოვნით, დასთანხმდნენ დაჰბრუნებოდნენ თავიანთ ადგილებს.

საყურადღებოა, როგორ უყურებს საზოგადოდ ბ-ნი ჩიკვაიძე დამფასებელს კომისიას და რა შეხედულობა აქვს მამულების დაფასებაზე. ის ცდილობს განდევნოს დამფასებელ კომისიიდან ყველა ის წევრნი, რომელნიც დაუმოკიდებლად ჰმოქმედებენ და ემორჩილებიან არა ბ-ნ ჩიკვაიძეს, არამედ თავის სინიდისს. ბ-ნი ჩიკვაიძე ერევა მამულების დაფასების საქმეში და რაიმე კერძო მოსაზრებით ძალას ატანს კომისიის წევრთ, მეტად დააფასონ ზოგიერთი მამულები, მაშინ როდესაც გამგეობის უფლებანი ამ საქმეში განსაზღვრულია თვით ბანკის წესდებით. ამ ნაირი მოქმედება ბ-ნ ბანკის მმართველისა ბოროტმოქმედებასა ჰგავს და დიდად მავნებელია ბანკის ინტერესებისათვის. დამფასებელი კომისია უნდა ხელ-მძღვანელობდეს მხოლოდ თავის სინიდისით და გამოცდილებით და არა ბანკის მმართველის კერძო რამ მოსაზრებით. მამულების პირუთვნელი დაფასება არის საფუძველი საადგილ-მამულო ბანკების კეთილ დღეობისა. ბევრი ბანკი დაღუპულა რუსეთში მამულების გადამეტებულ დაფასების გამო და შემდეგ მხოლოდ სისხლის სამართალს აუხსნია ნამდვილი სარჩული ამ დაფასებისა. მაშ ბ-ნი ბანკის მმართველი არ უნდა კადრულობდეს ამ საქციელს და არავითარის კერძო მოსაზრებით ძალას არ უნდა ატანდეს დამფასებელ კომისიას მამულების ასე თუ ისე დაფასებისათვის. წლევანდელ მაისის საზოგადო კრებაზე დამფასებელ კომისიის წევრად ნამყოფმა თ. სამსონ წულუკიძემ მოინდომა, აეხსნა კრებისათვის, თუ რად შეიქნა ბ-ნი ჩიკვაიძე მისი წინააღმდეგი, და ისურვა, გამოეაშკარებინა კრების წინაშე ისტორია ძმ. ხანანაშვილთა პასსაჟის დაგირავებისა ქუთაისში; მაგრამ ბ-ნმა ჩიკვაიძემ ანიშნა თავისს კაცებს და ბ-ნს სამსონ წულუკიძეს არ მისცეს საშუალება სიტყვის წარმოთქმისა. მაგრამ ამ გვარი ისტორიები მაინც არ იმალება და ადრე თუ გვიან მაინც საქვეყნოდ ცხადდება. ასე და ამ გვარად ბ-ნი ჩიკვაიძე ბანკის საქმეებში თუ ჩაერევა, მხოლოდ მისთვის, რომ რამე

ერთი ურემი ჭიგო—50 კაპ. (300 ცალი), ერთი ურემი მერქანი—3 მან. (200 ცალი), ურემი მარგლი 4 მ. (60 ცალი), ერთი ურემი კოჭი—4 მ. (4 ცალია) ტსხ. 15 ვერსის მანძილზედ სილნალში-კი ამავე დროს საჟენი შეშა 30 მან. ჰღირს.

ერთი საჭაპანწყვეტო საქმე ჩვენში არის დროებითი ვალდებული ურთიერთობა მემამულეთა და გლეხთა შორის. არ იქნა და ბოლო არ მოეღო ამ ძველ დროთა ნაანდერძევსა. დროებით დატოვებული საქმე ლამის სამუდამოდ გადაიქცეს. მომრიგებელნი შუა-კაცნი, ანუ ესრედ-წოდებულნი მიროვოი პოსრედნიკები-კი რომ ეცადნენ, ამასაც მალე მოეღებოდა ბოლო. აი ამ ხანებში, მაგალითად, მოისპო ასეთი სავალდებულო დამოკიდებულება და ურთიერთობა კარდანეხში გრაფ შერემეტევსა და ძველ ნაყმევთა შორის, რომელთა რიცხვი 100 კომლამდეა. ზოგს შესყიდა გრაფმა მამული, ზოგს გაუყო და ასე მოჰშველდნენ და მოჰრიგდნენ. სხვაგანაც ბევრგან ვიცით, როგორც მემამულენი, ისე ნაყმევნი, რომელნიც მონდომებულნი არიან მოჰრიგდნენ ერთმანერთში და ნადელი დაახსნევინონ გლეხებს. მაგრამ ამ საქმისათვის კაცებია საჭირო, შუა-კაცები, რომ მორიგება ჩამოვარდეს.

შაქრო ი. ვ—ძე

---

**სახხერე**, 1 დეკემბერს. მესამე წელიწადი მიდის მას შემდეგ, რაც სახხერეში გაიმართა სამრევლო ორკლასიანი სამაგალითო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს არა ნაკლებ 150 მოსწავლისა. ეს სასწავლებელი ყოველს წელიწადს იღებს შემწეობას ხაზინიდამ 1200 მანათს. წლევანდლამდის ოთხი მასწავლებელი ირიცხებოდა, დღეს-კი შეამცირეს მათი შტატი, და დარჩა სამი მასწავლებელი, ორი მღვდელი და ერთი ერის კაცი. სკოლის დაარსებისათანავე მასწავლებელთა შორის გაჩნდა შური და იძულება, რომელმაც იქამდის მიაღწია, რომ მასწავლებელნი თვისის სულიერის შვილების, მოსწავლეების, თვალ-წინ უშვერის სიტყვებით ჰლანძღავდნენ ერთმანერთს და, როგორც ამბობენ, ხელით ერთმანერთის შეურაცხყოფასაც-კი არ თაკილობდნენ თურმე. ამაების გასარჩევად და დამნაშავის გამოსარჩენად სასულიერო მთავრობისაგან დანიშნულნი კაცნი ხშირად მოდიოდნენ აქ და აქაურის მდიდარის ბუნების სიმშვენიერით დამტკბარნი ბრუნდებოდნენ უკან. თუმცა ისინი დიდის ყურადღებით ისმენდნენ საჩივრებს და იძიებდნენ საქმეს, მაგრამ მაინც ვერ მოსპეს მასწავლებელთა შორის ასეთი არა სანატრელი მოურიგებლობა.

ამ ბოლოს დროს ვითომ თავის-თავად შესწყდა მათ შორის დაუბოლოებელი ჩხუბი, მაგრამ, საუბედუროდ, თავი იჩინა მასწავლებელთ ამ ნაირ ყოფა-ქცევის ნაყოფმა, უფრო საზიზღარმა გარემოებამ: ერთს ამ სასწავლებლის მოსწავლეთაგანს მ—ს, მიურთმევია ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსისათვის საჩივარი ერთს სულიერს მამაზე, მასწავლებელზე, რომ ეს უკანასკნელი ყოველს დღეს ცემა-ტყეპით ილაჯს მიწყვეტავსო და თუ არ დამიფარეთ, წუთი-სოფელსაც გამომასალმებსო. ამ საჩივრის გამო ამ დღეებში პასუხი მოსთხოვეს ამ სკოლის მმართველს, რომელმაც ყველაფერი დაწვრილებით უნდა წარუდგინოს ყოვლად-უსამღვდელოესს.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ თვით მასწავლებელნი აქეზებენ მოსწავლეთ ამ ნაირ ბეზღობისა და საჩივრების წერაზე; ეს რამდენად მართალია, უეჭველად, გამოიკვლევენ, რადგანაც საქმე ისე გამწვავდა, რომ საშიშია ყმაწვილების ზნეობისათვის.

ამას არა გვპირდებოდა 1890 წელში თავის გაზეთის ფურცლებზედ „მწყემსის“ რედაქტორი მ. ღ. ღამბაშიძე, ის რედაქტორი, რომელიც წევრად ბრძანდება სამრევლო სკოლების საბჭოსი და ყველაზე უფრო ახლოცა სდგას ამ სკოლაზე.

აი მისი საკუთარი ფრაზები იმ გრძელის წერილიდგან, რომელიც გვიძღვნა მან 1890 წელს თავის გაზეთის ფურცლებზე:

„რამდენიც გინდათ, იმოდენი გახსენით საერო სასოფლო სკოლები სოფლებში, მაგრამ ამით ჩვენ სრულიადაც ვერ აღვადგენთ ხალხში სარწმუნოებას, ვერ ავამაღლებთ ზნეობას, ვერ მოვსპობთ ხალხში ამაოდ მორწმუნებას. საერო სასოფლო სკოლების მეოხებით, მართალია, მატულობს საზოგადოებაში წერა-კითხვის მცოდნე პირთა რიცხვი, მაგრამ რადგან ამ პირთ ხეირიანად არ აქვსთ შეთვისებული სწავლა სარწმუნოებაზე და ქრისტიანულს ზნეობაზე, ამიტომ იგინი თავიანთ სწავლა განათლებას ხშირად სხვა-და-სხვა საეშმაკო და საკლიაუზნო საქმეებში ხმარობენ, რისაგამო ხალხი სულ სხვა შეხედულებას ადგენს ამისთანა ნასწავლ პირებზე. ამიტომაც ჩვენი ხალხი უპირატესობას აძლევს საეკკლესიო და სამრევლო სკოლებს საერო სასწავლებლის წინაშე…“

იმედი უნდა ვიქონიოთ, როდესაც კარგად გაიგებს მისი ზნეობის აღმადგენელ სკოლის გარემოებას მ. ღამბაშიძე, ცოტად მაინც დაგვეთანხმება, რომ ყოველი სახალხო სკოლა, საეროა იგი თუ „სამრევლო,“ ერთს საქმეს უნდა ემსახურებოდეს და ის მით კი არ იქმნება მაღალი, რომ „სამრევლო“ ეწეროს კედელზე, არამედ მით, რომ მისი გამგენი სულითა და გულით ეპყრობოდნენ სკოლის ბედს და სახეში ჰქონდესთ კეთილდღეობა მოსწავლეთა და ხალხისა, და არა თავისი კერძო ინტერესებისა. აგრეთვე იმედია, სასულიერო მთავრობა ბოლოს მოუღებს დღეის შემდეგ მაინც ამნაირ უწესოებას.

ზემოური.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქალ-ბ-ნთ: ქ. კალანდარიშვილისას, კნ. იუს. ნაკაშიძისას, ფ. თიკანაძისას და დ. ჩიგოგიძისას, ბ-ნთ: ივ. გო—ურს, თომა კალანდარიშვილს, იაგ. თიკანაძეს და კ. ნაკაშიძეს, რომელთაც გაჰმართეს წარმოდგენა და შემოსავალი (12 მ. 21 კ.) შესწირეს ჩემდა რწმუნებულ მაკვანეთის სკოლას, და აგრეთვე ს. მჭეიშვილს, რომელმაც ფულად შემოსწირა ერთი მანეთი.

მაკვანეთის საზ. სკოლის მასწავლებელი
ნიკო ჯანაშია

1893 წ.
6 დეკემბერს

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

საფრანგეთის მწერლობამ ზიზღით შეხედა ანარხისტებისაგან მომხდარ უბედურობას პარლამენტში: „Autorité“ და „Libre Parole“-ი რესპუბლიკას სდებენ ბრალს, რომელსაც ღმერთი არა სწამსო.

„Siècle“-ი ამბობს: ეხლა მაინც დარწმუნდნენ ისინი, რა საშიშოც არის სოციალური ომი, რომელთაც ეს აქამდის არა სჯეროდათ. „Echo de Paris“ ყველაფერს სოციალისტებს აბრალებს. „Radical“-ი და „Justice“-ი შეძრწუნებულია იმ სასტიკ განკარგულების გამო, რომელიც მართებლობამ იხმარა შესახებ დამნაშავეთა.

„Lantèrne“-ი თხოულობს, რომ ეს ვეშაპნი აღმოფხრულ იქნან, მაგრამ ისე რომ უბრალოთ არა ევნოთ-რა. „J. des Débats“ საყვედურს ეუბნება რადიკალებს და აბრალებს, რომ იმათის მიზეზით არ იქნა მიღებული კანონის პროექტი ანარხისტთა წინააღმდეგ. „Figaro“ თხოულობს, რომ სასტიკი სამაგიერო სასჯელი იქნას ხმარებული ანარხისტთა წინააღმდეგ. „Soleil“ ჰფიქრობს, რომ ახალ მკაცრ კანონების გამოცემა საჭირო სულაც არ არის, რადგანაც ძველი კანონიც საკმაო საშუალებას აძლევს მთავრობას ანარხისტთა შესალაგმავად. „Gaulois“ ურჩევს მთავრობას ყურადღება მიაქციოს ალვირ წახსნილ მავნებელ ქადაგებას და წერას. „Matin“-იც იმასვე ამბობს მარტო ხელის დასჯა-კი არა კმარა, დასასჯელია თავიც, რომელიც აბრალებს ხელებს. „La Petite République“ სოციალისტთა სახელით უარს ჰყოფს დამნაშავის თანაგრძნობას და ამბობს ასეთის საქმის მომქმედი კაცი—უსინიდისო და სულელი არისო.

**

გერმანიის ჟურნალ-გაზეთები სიამოვნებით სწერენ, შეიძლება კრისპი ისევ დაუბრუნდეს თავის ალაგსაო. მათის აზრით, კრისპი მთელს იტალიაში ერთად-ერთი სახელმწიფო კაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს. გაზეთი „Berliner Tagenblatt“-ი ამბობს, რომ გერმანია და ავსტრი-უნგრეთი დიდის სიამოვნებით მიიღებენ კრისპის მიერ კაბინეტის შედგენის ამბავსაო.

---

## რუსეთი

—

1 დეკემბერს პეტერბურგის თავად-აზნაურობამ გაუმართა პატივსაცემი სადილი საფრანგეთის ელჩს გრაფს დე-მონტებელლოს.

სადილზედ მიწვეული იყო მთელი საფრანგეთის საელჩო. დაესწრო სადილს სულ 400 კაცი. სათავად-აზნაურო კლუბის დარბაზი მშვენივრად იყო მორთული. ცალკე ერთ სტოლთან ისხდნენ: თვით საფრანგეთის ელჩი გრაფი დე-მონტებელლო, პეტერბურგის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გრაფი ბობრინსკი და სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარი ნაბოკოვი; შემდეგ მარჯვნივ ისხდნენ: საელჩოს სოვეტნიკი გრაფი დე-ბოვინე, სახელმწიფო საბჭოს წევრი სტოიანოვსკი, ობერ-ეგერმეისტერი თავ. გოლიცინი, ფინანსთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრნი და მრავალნი სხვანი.

სადილზედ პირველად სიტყვა წარმოსთქვა პეტერბურგის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა გრაფმა ბობრინსკიმ და, სხვათა შორის, სთქვა:

ის გრძნობა, რომელიც ეხლა ჩვენ აქ გვაღელვებს, ახალი არ არის. სწორედ ასეთი გრძნობა გვაღელვებდა ტულონისა და პარიზის დღესასწაულების დროს.

ბატონებო! თუ მაშინ ფრანგებმა რამდენიმე სიტყვა ისწავლეს რუსული და ესიამოვნებოდათ მათი წარმოთქმა,—მთელმა რუსეთმაც იცის ერთი სიტყვა, რომელიც ჩვენ აქ უნდა წარმოვთქვათ. ეს სიტყვა არის—„merci“.

დიაღ, ბატონებო, დიდადა გმადლობთ იმ პატივისცემისთვის, რომელიც გაუწიეთ საფრანგეთში ჩვენს მეზღვაურთ, გმადლობით იმ მხურვალე გრძნობისათვის, რომლითაც იხსენიებდით სახელს ჩვენის საყვარელის იმპერატორისას. გმადლობთ იმ უკვდავ თანაგრძნობისათვის, რომლითაც გამოაცხადეთ დიდი პატივისცემა ჩვენის იმპერატრიცისა, დიდადა გმადლობთ და გთხოვთ, დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ ჩვენის თქვენდამი პატივისცემისა. დარწმუნებულნი იყავით, რომ პარიზისა და ტულონის მონიფესტაციებმა დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ჩვენში.

რაც შემეხება მე, დიდად მოხარული ვარ, რომ ბედმა მარგუნა ამ დარბაზში წარმოვთქვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზინდენტის სადღეგრძელო და სადღეგრძელო მთელის რესპუბლიკისა.

დარბაზში მყოფმა მთელმა საზოგადოებამ ერთ-ხმად დაიძახა „Vive la France!“ და მუსიკამ მარსელიეზა დაუკრა.

შემდეგ წამოდგა საფრანგეთის ელ-

---

გააბრუნდოს და არა მისთვის, რომ რაიმე გაასწოროს, ან გააკეთოს.

რაღა თქმა უნდა, რომ ვერავითარს კეთილ აზრს, ვერავითარ სასარგებლო ცვლილებას ბ-ნი ჩიკვაიძე ვერ შეიტანს ბანკის საქმეებში. რადგან მას საკმაოდ შეგნებული არა აქვს საზოგადოდ ბანკის საქმე და არც ჩვენი ბანკის საქმეები აქვს კარგად შეთვისებული, იმას, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვა, რომ ეცადოს ბანკის წესდების რომელისამე მუხლის საუმჯობესოდ შეცვლით ან სხვა რამე კანონიერის საშუალებით ოდნავ მაინც შეამსუბუქოს მსესხებლების მდგომარეობა, მაშინ, როდესაც ასეთი ზრუნვა მისი პირდაპირი მოვალეობაა. როდესაც კაცს რამე საქმე აბარია, როდესაც ეს საქმე კარგად შეთვისებული აქვს, როდესაც მისი აზრი მუდამ ამ საქმეზე ტრიალებს, რასაკვირველია, უფრო ადვილად უნდა დაებადებოდეს ყოველივე აზრი მისი გაუმჯობესობის, მისი უკეთ წაყვანისა, ვიდრე სხვას; მოსალოდნელია, რომ ინიციატივა, ანუ პირველი აზრი ამ საქმის განკარგებისა ეკუთვნოდეს მას. მაგრამ ამას ვინღა დაეძებს, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ თვით რაიმე გაუმჯობესობის ან კეთილის ცვლილების აზრი შემოიტანოს, არც კი ესმის ამ ცვლილებათა საჭიროება, მათი მნიშვნელობა. როდესაც პირდაპირ მიუთითებენ, მიანდობენ, ესა და ეს ცვლილება მოახდინეო, მაშინაც-კი ვერ მოუხერხებია დროზე ამ მინდობილებათა შესრულება.

იმავე 1890 წლის მაისში, როდესაც ბ-ნი ჩიკვაიძე ბანკის მმართველად არჩეულ იქმნა, საზოგადო კრებამ, ძველის გამგეობის წინადადებით გადაწყვიტა ბანკის წესდების რამდენისამე მუხლის შეცვლა და შევსება და მიანდო გამგეობას ამ ცვლილებათა ნებართვის გამოთხოვნა მთავრობისაგან. ამ ახალ ცვლილებათა, თუ-კი სამინისტრო დროზედ დაამტკიცებდა, დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა ჩვენის ბანკის კეთილ-წარმართვისათვის და ახლად არჩეულის მმართველის ბ-ნ კალ. ჩიკვაიძის პირდაპირს მოვალეობას შეადგენდა, ცდილიყო, რაც შეიძლება მალე წარედგინა სამინისტროში კრების გარდაწყვეტილებანი და დაეჩქარებინა მთავრობისაგან ნებართვის მიღება.

კრებამ დაადგინა გვეთხოვა, რომ მოგვნიჭებოდა უფლება უფრო გრძელვადიანის სესხის გაცემისა, ვიდრე ახლა შეგვიძლია. ამ ცვლილებით დიდი შეღავათი უნდა მისცემოდა მსესხებლებს. რაც უფრო ხანგრძლივის ვადით არის გატანილი სესხი, მით ნაკლებია ის სავალდებულო გადასახადი, რომელიც მსესხებელმა ყოველს ექვს თვეში უნდა შეიტანოს ბანკში, სარგებლად და თვით სესხის თან-და-თან მოსასპობლად. მაგალითად, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების ძალით, თანდათან მოსასპობლად სოფლის მამულებზე გაცემულ სესხებისა, რომელთაც ორმოცდა სამის წლისა და ნახევრის ($43^1/_2$) ან ორმოცდა რვა წლის და რვა თთვის ვადა აქვთ, მსესხებელს ექვს თთვეში შეაქვს ბანკში მხოლოდ ერთი მეოთხედი პროცენტი ($^1/_4\%$), მაშინ როდესაც ქალაქის მამულზე მოკლე ვადიან გაცემულ სესხის მოსასპობლად მან უნდა შეიტანოს ბანკში ყოველს ექვს თთვეში ერთპროცენტ-ნახევარი ($1^1/_2\%$). როგორც ჰხედავთ დიდი განსხვავებაა. დღემდე ქუთაისის ბანკს ჰქონდა უფლება გაეცა სესხი ქალაქის მამულებზე მხოლოდ თვრამეტის წლით და შვიდის თთვით ან ცხრამეტის წლის და თერთმეტის თვის ვადით. კრება-კი თხოულობდა, რომ ეს ვადა გაეგრძელებიათ ოცდა-თექვსმეტ წლამდე. რასაკვირველია, მაშინ განსხვავებაც დიდი იქმნებოდა შესატან გადასახადის რაოდენობაში. ეს დიდად სახეირო იქმნებოდა, როგორც ახალ მსესხებელთათვის, ისე იმ ძველ მსესხებელთათვისაც, რომელნიც მამულის გადაგირავებას ისურვებდნენ.

კრების მეორე გარდაწყვეტილება შეეხებოდა ჩვენის ბანკის მოქმედების გავრცელებას ბათუმის მაზრაში, რომლის მამულებზე სესხის გაცემის უფლება დღემდე ჩვენს ბანკს არა ჰქონია. ახლა, როდესაც უმეტესი ნაწილი ქუთაისის გუბერნიის სოფლების დიდ მამულებისა და ქ. ქუთაისის შენობათა უკვე დაგირავებულია ბანკში, მით უფრო საჭირო იყო შეეძინა ჩვენს ბანკს ბათუმის მამულებზე სესხის გაცემის უფლება, რადგან ბათუმში ჯერ ბევრი ძვირფასი მამული იყო დაგირავებული; და თუ ბანკში ბევრი მამული დაგირავდებოდა, ბანკს, რასაკვირველია, შემოსავალი მოემატებოდა, მოგება მეტი ექმნებოდა, ზარალი უფრო მალე დაიფარებოდა და საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მეტი თანხა გვექნებოდა.

მ. ხ—ლი

(დასასრული იქნება)

ჩი გრაფი მონტებელლო, წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცისა.

გრაფ მონტებელლოს ამავე დღეს ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

მერე გრაფმა ბობრინსკიმ შემდეგის სიტყვით მიჰმართა გრაფ მონტებელლოს:

„რვა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ორი ეპისკოპოსი მოვიდა რუსეთში, რათა მეფე ჰენრიხისთვის აქ მეუღლე ეშოვნათ. სწორედ მაშინ დაიწყო კავშირი საფრანგეთისა და რუსეთ შორის. მას შემდეგ ბედმა ბევრჯერ უმუხთლა ამ კავშირს, მაგრამ ეს კავშირი მაინც სრულიად არ მოისპო და ეხლა თანდათან გაძლიერდა კიდეც. მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ რუსეთისა და საფრანგეთის მხრიდგან ყოველთვის გაისმოდა სასიამოვნო სიტყვები: „გულითადი მეგობრობა და ერთობა“.

დღევანდელი დღე ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენ არ გადავუხვიეთ იმ გზას, რომელიც ისტორიამ წინ დაგვიყენა.

გრაფმა მონტებელლომ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა და დალია სადღეგრძელო რუსეთის თავად-აზნაურობისა და მთელის რუსეთის ერისა. სადილი საღამოს 10 საათზედ გათავდა.

—

რუსეთის სადგილ-მამულო კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენლების კრების კომიტეტმა პეტერბურგში ამ დღეებში მიჰმართა შემდეგის წერილით სადგილ-მამულო სააქციონერო ბანკების მმართველობათ:

კომიტეტი აუწყებს მმართველობას, რომ ფინანსთა მინისტრმა თვისი თანხმობა გამოაცხადა 1894 წლის იანვრის ნახევარში მოხდეს მეცხრე კრება სადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა; ამასთანავე მინისტრმა მოისურვა, რომ კრებამ ჩვეულებრივ საგნებს გარდა კიდევ შემდეგი საგნები განიხილოს: 1, შემცირებულ იქმნას რაოდენობა მსესხებელთა მიერ შესატან ფულისა, შესადგენად სათადარიგო თანხისა, აქციონერთა დივიდენტისა და ხარჯისა მმართველობის შესანახად და 2, ახლად გაცემული სესხი გამოერთვათ მსესხებელთ ნახევარ წლის წინად-კი არა, როგორც აქამდე იყო, არამედ ნახევარ წლის შემდეგ. აუწყებს რა კომიტეტი ამას ზემოხსენებულ მმართველობათ, უმორჩილესად სთხოვს ყველას წარმოუდგინოს კომიტეტს თვისი მოსაზრებანი ამ საქმის შესახებ. აგრედვე შეატყობინოს, ვინ იქმნება კრებაზედ წარმომადგენელი თითოეულის ბანკის მმართველობისა. ამ გვარად მომავალ კრებას უფრო მეტი საქმე ექმნება განსახილველად, ვიდრე აქამდე ჰქონია ხოლმე.

—

ჟურნალ „Образованіе“-ს ნოემბრის წიგნში მოყვანილია ცნობანი იმის შესახებ, თუ რა მცირედ არის წერა-კითხვა მთელს რუსეთში გავრცელებული. ჟურნალის აზრით, 1887 წელს სამხედრო სამსახურში გაწვეულთა 20 წლის ყმაწვილ-კაცთა შორის 70,5%-ს სრულიად არა სცოდნია არც წერა და არც კითხვა. ამ რიცხვში ჩათვლილია ყველა რუსეთის გუბერნია, ამიერ-ბალტიის მხარეს გარდა, სადაც მხოლოდ ლატიშები და გერმანელები სცხოვრობენ. ამ მხარიდგან გაყვანილთა შორის-კი მხოლოდ 7,4% აღმოჩენილა წერა-კითხვის არ-მცოდნე.

—

გაზ. „Новости дня“-ში დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო სცენა, რომელიც ამას წინად მოსკოვის უნივერსიტეტში მომხდარა:

უნივერსიტეტის კანცელარიაში მივიდა ერთი უცნობი და იკითხა:

— რამდენმა სტუდენტმა არ შემოიტანა ლექციის გარდასახადი ფული?

უთხრეს რამდენსაც არ შეეტანა.

— ფულად რამდენი იქმნება?

— ოთხი ათას რვაასი მანეთი.

— ინებეთო, სთქვა უცნობმა, ამოიღო ეს ფული, დასდო სტოლზედ, თავი დაუკრა და წავიდა ისე, რომ თავისი ვინაობაც არ უთქვამს.“

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** 29 ნოემბერს პალატა მოუნდა ანარხისტთა წინააღმდეგ ღონისძიების აღმოჩენას. კრების დაწყებამდე კაზიმირ პერიემ სთქვა: იმ ბოროტ-მოქმედების შემდეგ, რომელიც აქ მოხდა, საჭიროა აუღელვებლობა და მოთმინება. ჩვენ წარმოგიდგენთ იმ პროექტებს, რომლებიც ჩვენის აზრით აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. (მეტად კარგი). ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომ ჩვენ გვსურდეს შევსცვალოთ ჩვენი პოლიტიკა და რამდენისამე კაცის მიერ ჩადენილი ავაზაკობა ბრალად დავსდოთ ჩვენს მოქალაქეთ. (ტაშის ცემა) ჩვენ მოგახსენებთ მხოლოდ იმ ბოროტ-მოქმედებაზედ, რომელსაც ვერავინ გაამართლებს, თუ არ უნდა შერცხვეს საფრანგეთისა და ცივილიზაციის წინაშე. (ხანგრძლივი ტაშის ცემა) ამასთანავე წარმომიდგენია პალატის ბიუროსთვის ოთხი კანონ-პროექტი. პირველის კანონ-პროექტით შეცვლილი უნდა იქმნას ჟურნალ-გაზეთების შესახებ კანონის 24, 25 და 29 მუხლი; მეორის ძალით შეცვლილ უნდა იქმნას აღკრძალულ ასოციაციის შესახებ კანონის 265 მუხლი. მესამეს ძალით შეცვლილ იქმნება კანონი შესახებ ასაფეთქებელის წამლებისა და მეოთხე კანონ პროექტის ძალით ვთხოვ შინაგან საქმეთა სამინისტროს 800,000 ფრანკი პოლიციის გასაძლიერებლად. ეს კანონები წინააღმდეგია მხოლოდ იმათი, ვინც თითონ გადაუდგა საზოგადოებას. (ტაშის ცემა) ჩვენ არ დაგვიწყებია ორი საქმე, ერთმანერთისაგან დაუშორებელი—საქმე წესიერებისა და საზოგადოების თავისუფლებისა. ჩვენ ვითხოვთ ამ ოთხის კანონ-პროექტის მიღებას და სხვათა შორის პირველ მათგანის საჩქაროდ განხილვას. შემდეგ კაზიმირ პერიემ წაიკითხა პირველი კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ბოროტ-მომქმედთა წამქეზებელნი დაისჯებიან 1—5 წლამდე დაპატიმრებით და ჯარიმაც გამოერთმევათ 100 ფრანკიდგან 300 ფრანკამდე; ეს პროექტი შეეხება იმათაც, ვის წაქეზებასაც არავითარი უბედურება არ მოჰყვება. ეს კანონ-პროექტი პალატამ შეიწყნარა 413 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 63 ხმისა.

## ბიბლიოგრაფია

—

განვლო სამმა წელმა მას შემდეგ, რაც კოხის მიერ აღმოჩენილმა წამალმა ჭლექის წინააღმდეგ მთელი ქვეყანა ააღელვა და ავადმყოფთ იმედი ჩაუნერგა მორჩენისა, თუმცა ეს იმედები მალე გაქარწყლდა. ეხლა ბერლინიდგან იუწყებიან, რომ პროფესორი კოხი ჰბეჭდავს თავისს დიდს თხზულებას შესახებ ტუბერკულეზისა. გაზეთები იუწყებიან, კოხი მაინც თავს არ ანებებს თავის გამოკვლევას და იმედი აქვს ოდესმე უებარი წამალი აღმოაჩინოს ჭლექის წინააღმდეგაო.

## გასართობი

—

ერთს ბრძოლაში ფლანდრიის ჯარისკაცს კიდალს მიჰყავდა დაჭრილი თავადი მონაკო, ჯარის-უფროსი, რომელიც იმის მკლავზედ იყო დაყრდნობილი და სააავადმყოფოში უნდა წაეყვანა. ამ დროს საიდგანღაც ტყვია მკლავში მოხვდა ჯარის-კაცს. კიდალს არც-კი დაუკვნესია, მიტრიალდა მაშინვე თავისს უფროსის მეორე მხარეს და სთქვა:

— ბატონო, ახლა ამ ხელს დაეყრდენით, ის გამოსადეგი აღარ არისო.

**

ერთხელ პაპს ბენედიქტე მე-XIV ჰკითხეს:

— რაკი ეკკლესია დიდად მოწყალეა, განა არ შეიძლო, რომ დიდ-მარხვა ოთხნაწილად გაეყო, ასე რომ ყოველ სამს თვეში ერთხელ ათ ათი დღე გვემარხულნაო?

— შეიძლო-კი, მაგრამ არ ივარგებ დაო, უპასუხა პაპმა,—რადგან მაშინ შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ოთხი უკვლიერი ყოფილიყო და მარხვა-კი არც ერთიო.

**

ერთს საზოგადოებაში ხუმარა კაცსა ჰკითხეს, რა ადვილია და რა ძნელი. აი რა უპასუხა ხუმარამ:

— ადვილია თავ-მოსაწყენ თხზულების დაწერა, ძნელია იმისი წაკითხვა; ადვილია სხვისი დარიგება, ძნელია ამ დარიგების გზაზე სიარული; ადვილია ქალის გულის დამორჩილება, ძნელია მისი დიდხანს შენახვა; ადვილია ბუნების შესწავლა, ძნელია შესწავლა ადამიანისა; ადვილია დამოუკიდებლობის მებნა, ძნელია დამოუკიდებლად ყოფნა; ადვილია ტირილი და სხვისი ატირება, ძნელია სხვისის ცრემლის შეშრობა; ადვილია ნადირთა მოშინაურება, ძნელია თავ-მოყვარეს გულის მოლბობა; ადვილია ზნეობის ქადაგება, ძნელია ზნეობიანად ყოფნა; ადვილია თქმა, ძნელია ქმნა; ადვილია ბოროტის ჩადენა, ძნელია ჩადენა კეთილისა; ადვილია შეურაცხება, ძნელია შეურაცხების დავიწყება; ადვილია ჩხუბი, ძნელია შერიგება.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დღეებში გარდაიცვალა შესანიშნავი პუბლიცისტი ქალი Lucie Ston, რომელიც მხნე მომხრე იყო დედათა ემანსიპაციისა. ჯერ ისევ 50 წლებში ლიუსისტონმა დიდი სახელი გაითქვა ამერიკაში თავის ლექციებით. ჰქადაგებდა, ზანგთა მონობას ბოლო უნდა მოეღოსო. შემდეგ ტინტინატში ამ ქალმა დააარსა ჟურნალი Womars Journal და ჟურნალის რედაქტორად ითვლებოდა სიკვდილამდე. თითონაც ბევრსა სწერდა ამ ჟურნალში შესახებ დედათა თავისუფლებისა. ლიუსისტონმა დააარსა აგრედვე ფედერაცია, რომელსაც საგნათ აქვს ამერიკაში ქალებს საარჩევანო უფლებანი მიენიჭოსო.

# დეპეშა

9 დეკემბერი

**ბერლინი.** საკავშირო საბჭომ მოიწონა წინადადება კომისიისა, რომ იმ რუსეთისა და ფინლიანდიის საქონლისათვის, რომელიც შემოტანილ იქმნა გერმანიაში, ან უნდა ეხლა იქმნას შემოტანილი, გადაახდევინონ ბაჟი საზოგადო და არა ამატებულის ტარიფით, თუ-კი ის საქონელი მაშინ გაყიდულა, როცა ჯერ გამოცხადებული არ იყო 29 ივლისის განკარგულება ამატებულის ტარიფის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,61 | 7,63 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები | 152 | 152¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 246½ |
| —მეორისა | | — ,, | 220½ |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

# განცხადებანი

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ნებართვით

**ქ. ტფილისში გამმართე „ცნობების შესაკრები კანტორა“ და წინდადაც ფული შევიტანე.** ამ კანტორაში შეიძლება ცნობების შეკრება სახლის დაქირავების შესახებ და აგრეთვე მზარეულისა, მოსამსახურისა, ძიძისა, მასწავლებელისა, მასწავლებელ-ქალისა, აღმზრდელ-ქალისა, მეეტლისა და სხვათა გამო, რომელნიც სამსახურში სადმე აპირებენ შესვლას. ვინც თავისს განცხადებას შემოიტანს ადგილის მსურველთაგანი 30 **კაპ. გადაჰხდება,** ვინც ამ კანტორის შემწეობით დაიქირავებს მსახურს—50 კაპ.

**კანტორა იმყოფება** სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლაში, **ლანკოს** მაღაზიასა და ცენტრალურ წიგნთ-საცავის გვერდით. **სხვა ქალაქებიდგან** ვთხოვთ ამ ადრესით მოგვმართონ. კანტორა ღიაა დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 4-დგან 7 საათამდე. (5—5)

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—135)




გამოვიდა და ისყიდება ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის მაღაზიაში და სხვაქალაქებში, სადაც-კი ქართული წიგნი იყიდება

**თამარიანი**
ისტორიული პოემა
შაირ წყობილად თქმული
თ. ს. ბუზუნაკვას-მიერ
მეორე გამოცემა
ფასი 50 კაპ.